შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატა

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

კარი პირველი
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

- **არბიტრაჟი** - შპს „შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატა“, (შემდგომში “პალატა”) რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ, მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას და საქმიანობას ახორციელებს მოქმედ კანონმდებლობათა და საერთაშორისო კონვენციის ნორმების შესაბამისად. არბიტრაჟი მოქმედ კანონმდებლობის საფუძველზე და რეგლამენტით (დებულებით) დადგენილი წესით ახორციელებს მხარეთა შორის წამოჭრილ სამოქალაქო და საქმიან(სამეწარმეო) ურთიერთობაში წარმოშობილ დავათა განხილვას. ასევე განიხილავს საქმიანი ურთიერთობებიდან გამომდინარე საერთაშორისო ხასიათის დავებს, იმ პირო-ბით თუ არსებობს საარბიტრაჟო დათქმა დავის მიმართ არბიტრაჟის კომპეტენციასთან დაკავშირებით.
- **მხარეები** – პრეტენდენტი და მოპასუხე ერთდროულად;
- **მხარე** – მხარე იმ დავისა, რომლის განხილვაც შედის არბიტრაჟის იურისდიქციაში;
- **პრეტენდენტი** – მოსარჩელე მხარე;
- **არბიტრ(ებ)ი** – მხარეთა ან/და არბიტრაჟის მიერ დავის გადასაწყვეტად ამ დებულების მიხედვით არჩეული ან/და დანიშნული პირი (ერთპიროვნული ან/და კოლეგიური შემადგენლობით);
- **არბიტრაჟის იურისდიქცია** - არბიტრაჟის იურისდიქცია ვრცელდება პირებს შორის წამოჭრილ სამოქალაქო დავებზე მათ შორის “საარბიტრაჟო შეთანხმების“ შემთხვევაში, მოუხედავად დავის ადგილმდებარეობისა, ხასიათისა, საკუთრების სუბიექტისა და მხარეთა მოქალაქეობისა;
- **საარბიტრაჟო შეთანხმება** – დავამდელი ან/და დავის შემდგომი შეთანხმება მხარეთა შორის რომელიც მოიცავს, როგორც ამ დებულებით განსაზღვრულ რეკომენდირებულ საარბიტრაჟო დათქმას ძირითად ხელშეკრულებაში, ასევე ინდივიდუალურ შეთანხმებას არბიტრაჟის შესახებ, რომელიც დამოწმებულია მხარეთა მიერ ცალკე დოკუმენტად ან გამოხატულია ამის შესახებ მხარეთა ავტონომიური ნება ოფიცი-ალურ მიმოწერებსა და განცხადებაში. თუ მხარეთა შორის სხვადასხვა შეთანხმებებს შორის ადგილი აქვს კოლიზიას, მაშინ ძალაშია შეთანხმებათა ის ნაწილი, რომელიც არ ეწინააღმდეგება უფრო გვიან მიღწეულ შეთანხმებას ან/და არ არის გაუქმებული უფრო გვიან მიღწეული შეთანხმებით;
- **რეკომენდირებული საარბიტრაჟო დათქმა:**
„ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქსესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულე-ბიდან გასვლასთან, და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობისა და არსებობისთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოოდ გადასაწ-ყვეტად გადაეცემა “შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატას”, რომლის იურისდიქციას მოცემულ საკითხებზე მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე.

მხარეთა შეხედულებისამებრ, დათქმაზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დამატებები:

- არბიტრების რაოდენობა არბიტრაჟში, კოლეგიალური განხილვისას მხარეთა მიერ დანიშნული არბიტ-რების ვინაობა; არბიტრაჟის ჩატარების ადგილი; საარბიტრაჟო განხილვის ენა, საარბიტრაჟო პრეტენზიების (სარჩელის) უზრუნველყოფის ღონისძიებათა ცნობა და აღსრულება;
- **არბირტაჟის თავჯდომარე** – შპს “შავი ზღვის საერთაშორისო საარბიტრაჟო პალატა” თავჯდომარე ან მისი მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც ინიშნება საზოგადოების საერთო კრების მიერ;
- **საარბიტრაჟო განხილვა** – მხარეთა შორის დავისა და უზრუნველყოფის ღონისძიებათა საკითხის განხილვა არბიტრაჟის მიერ;
- **არბიტრაჟის გადაწყვეტილება** – საარბიტრაჟო განხილვის პროცესში არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება;

მუხლი 2. კომპეტენცია

1. კომპეტენციისა და უფლებამოსილების საკითხს კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით განსაზღვრავს დავის განმხილველი არბიტრაჟი. გადაწყვეტილება ამ საკითხზე შეიძლება მიღებული იქნას ცალკე განკარგულებით ან აისახოს საქმის არსებითად განხილვის დროს საბოლოო გადაწყვეტილებაში. ამასთან საარბიტრაჟო შეთანხმება, როგორც ხელშკრულების ნაწილი, განიმარტება როგორც შეთანხმება, რომე-ლიც დამოკიდებული არ არის ხელშეკრულების სხვა პირობებზე;
2. ხელშეკრულების ბათილად ცნობა თავისთავად არ გამოიწვევს საარბიტრაჟო შეთანხმების ბათილობას.
3. არბიტრაჟის მიერ, დავაზე იურისდიქციის ცნობის შემთხვევაში, მხარეები მოქმედებენ მისი რეგლამენტის შესაბამისად, რომელიც განიხილება, როგორც საარბიტრაჟო შეთანხმების განუყოფელი ნაწილი.
4. მხარეთა წერილობითი შეთანხმება დავა საარბიტრაჟო წესით გადაწყვიტონ მოცემული რეგლამენტის შესაბამისად, გაიგება როგორც მათი ვალდებულება, არ მიმართონ სასამართლოს ან სხვა ორგანოებს არბიტრაჟის კომპეტენციისა

და უფლებამოსილების თაობაზე, შეთანხმებული დავის განხილვისას უპირობოდ დაემორჩილონ არბიტრაჟის ყველა გადაწყვეტილებას.

5. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საბოლოო და სავალდებულოა მხარეთათვის, იგი საჩივრდება მხოლოდ „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით ან/და საერთაშორისო კონვენციით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
6. თუ არბიტრაჟი განსაზღვრავს, რომ მას აქვს შესაბამისი კომპეტენცია, მხარეებს შეუძლიათ ეს გადაწყვეტილება გამოტანიდან 30 დღის განმავლობაში გაასაჩივრონ სასამართლოში. სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე არბიტრაჟი უფლებამოსილია დაიწყოს საარბიტრაჟო საქმის განხილვა, გააგრძელოს და გამოიტანოს მასზე გადაწყვეტილება.

კარი მეორე
ორგანიზაცია და საქმინობა

მუხლი 3. საარბიტრაჟო პალატა

1. პალატა შედგება ერთი ან სამი არბიტრისაგან, რომელთა არჩევისა და დანიშვნის წესი განისაზღვრება წინამდებარე რეგლამენტით.
2. საქმის განმხილველი არბიტრაჟის წევრთა რაოდენობა არ შეიძლება იყოს ლუწი, თუ მხარეთა შეთანხ-მებით არბიტრაჟის შემადგენლობა ლუწი ციფრით განისაზღვრება, მაშინ არბიტრაჟი თავისი შემადგენ-ლობიდან ნიშნავს კიდევ ერთ წევრს.
3. საარბიტრაჟო სამართალწარმოებას, რეგლამენტის შესაბამისად, ხელმძღვანელობს მუდმივმოქმედი არბიტ-რაჟის თავჯდომარე (შემდგომში თავჯდომარე).
4. არბიტრები – არბიტრაჟის რეესტრში შეყვანილი პირები, რომლებიც ფლობენ დავების განხილვისათვის საჭირო სპეციალურ ცოდნასა და გამოცდილებას, მათი დამტკიცება ან ამორიცხვა რეესტრიდან ხორციელდება პარტნიორთა კრების მიერ თავმჯდომარის წარდგინებით.
5. სამდივნო ახორციელებენ კომუნიკაციას მხარეებსა და პალატას შორის და უზრუნველყოფენ საქმის მომზადებას არბიტრაჟის ფორმირებამდე.

მუხლი 4. პროცედურა

1. პალატა მოწოდებულია დავის განხილვა და საბოლოოდ გადაწყვეტა განახორციელოს მიუკერძოებლად, ეკონომიურად და შემჭიდროვებულ ვადაში, რისთვისაც გათვალიწინებულია საარბიტრაჟო პროცედურების ჩატარების განსხვავებული წესები.
   1.1) საერთო საარბიტრაჟო წარმოება;
   1.2) გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოება;
   1.3) მომრიგებლური (სამშვიდობო) პროცედურა 1980 წლის „UNSITRAL“-ის **(United Nations commission on International Trade Law)** რეგლამენტით.
2. საერთაშორისი სუბიექტებს შორის დავების განხილვისას მუდმივმოქმედი არბიტრაჟი უზრუნველყოფს არბიტრაჟის ჩატარებას 1976 წლის 15 დეკემბრის „UNSITRAL“-ის რეგლამენტით.
3. დებულებით მოუწესრიგებელი ნებისმიერი პროცედურული საკითხის გადაწყვეტისას არბიტრაჟი უფლება-მოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ან პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი ქმედება, მოდავე მხარეთა ინტერესებისა და უფლებათა თანასწორობის გათვალისწინებით.
4. თუ კანონის ან დებულების რომელიმე ნორმა, რომლიდანაც მხარეებს შეუძლიათ გადაუხვიონ, ან საარ-ბიტრაჟო შეთანხმების რომელიმე მოთხოვნა არ იქნა დაცული და მიუხედავად ამისა მხარე აგრძელებს მონაწილეობას საქმის განხილვაში, ისე რომ ამგვარი დარღვევის წინააღმდეგ ხუთი კალენდარული დღის ვადაში წერილობით არ წამოაყენებს თავის პროტესტს, ჩაითვლება რომ მან უარი განაცხადა გაპროტეს-ტებაზე.

მუხლი 5. არბიტრაჟის ფორმირება

1. მხარეები განსაზღვრავენ არბიტრაჟის წევრთა რაოდენობასა და მათი დანიშვნის წესს. თუ შეთანხმება არ ითვალისწინებს რომ საქმე განიხილოს არბიტრაჟმა სამი წევრის შემადგენლობით, განხილვა იწარმოება ერთპიროვნულად არბიტრის მიერ.
2. ერთპიროვნულ არბიტრს ნიშნავს პალატის თავჯდომარე თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. ერთზე მეტ წევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში, მხარეები ნიშნავენ არბიტრაჟის წევრთა თანაბარ რაოდე-ნობას; დამატებით წევრს, არბიტრაჟის თავჯდომარეს ირჩევენ უკვე დანიშნული წევრები ხუთი დღის ვადაში. ვადის გასვლის შემთხვევაში თავმჯდომარეს ნიშნავს პალატის თავჯდომარე.
4. არბიტრის დანიშვნის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ არბიტრაჟს.
5. მხარეს შეუძლია არბიტრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს. მხარეს შეუძლია არბიტრის დანიშვნის უფლება გადასცეს სხვა პირს. სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის ფორმირებისას, მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში სამივე არბიტრს ნიშნავს პალატის თავჯდომარე.
6. არბიტრი (არბიტრები) უნდა დაინიშნოს შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში, სხვა შემთხვევაში მხარე ნიშნავს არბიტრს მეორე მხარის მოთხოვნის ან არბიტრაჟის შეტყობინებიდან შვიდ დღეში, ვადის დარღვევა ჩაითვლება მხარის მიერ არბიტრის დანიშვნაზე უარის თქმად, ასეთ შემთხვევაში არბიტრს დანიშნავს პალატის თავმჯდომარე.
7. არბიტრად დანიშნული პირი ხელს დეკლარაციას, რომლითაც იღებს ვალდებულებას განაცხადოს, ყველა იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც შეიძლება იწვევდეს ეჭვს მის მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში.
8. დეკლარაციის სტანდარტულ ფორმას ამტკიცებს თავმჯდომარე.
9. არბიტრის დანიშვნის შესახებ პალატის თავმჯდომარე იღებს განკარგულებას.
10. არბიტრაჟი უფლებამოსილია განსახილველ საქმეზე არბიტრად დანიშნოს პირი, არამარტო თავისი არბიტრთა სიიდან, არამედ მოწვეული არბიტრი.
11. არბიტრების ჰონორარი განისაზღვრება დანართი No2-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 6. არბიტრის აცილება

1. ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ერთპიროვნული არბიტრის ან კოლეგიური არბიტრაჟის ნებისმიერი წევრის, თავმჯდომარის აცილება, თუ იარსებებს გარემოებები, რომლებიც გამოიწვევენ დასა-ბუთებულ ეჭვს მათ მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობაში; თუ დასაშვებად ჩაითვლება რომ

არბიტ-რი (არბიტრები) პირდაპირ ან ირიბად დაინტერესებული არიან საქმის შედეგით. აცილება შეიძლება გაცხადდეს იმ შემთხვევაშიც, როცა არბიტრი არ ფლობს სათანადო კვალიფიკაციას ან მხარეთა შეთანხმებით დავის გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ–ჩვევებს.

2. მხარეს, ასევე შეუძლია მოითხოვოს არბიტრის აცილება, თუ ეს უკანასკნელი არის:

2.1) ქმედობაუუნარო ან შეზღუდულქმედობაუნარიანი პირი;

2.2) პოლიტიკური თანამდებობის პირი, ან სახელმწიფო მოსამსახურე;

2.3) მსჯავრდებული;

2.4) მონაწილეობდა მოწმედ, ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, წარმომადგენლად ან სხდომის მდივნად ამ საქმის ადრინდელ განხილვაში;

2.5) მხარის ან მისი წარმომადგენლის მეუღლე, შვილი, დედა, მამა, და ან ძმა;

2.6) არის მხარის ან/და მისი წარმომადგენლის პირდაპირი ხაზის ნათესავი

3. არბიტრი უფლებამოსილია განაცხადოს თვითაცილება წინამდებარე მუხლის I და II პუნქტით გათვალისწინებული აცილების საფუძვლების არსებობისას.

4. მხარე ვალდებულია აცილების შესახებ პალატას მიმართოს წერილობითი მოტივირებული განცხადებით 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც მისთვის ცნობილი გახდა აცილების საფუძველი შესაძლო გარემოებები. განცხადების არწარდგენა ვადაში ჩაითვლება აცილების უფლების გამოყენებაზე უარის თქმად.

5. პალატის თავმჯდომარე ვალდებულია მოისმინოს მხარეთა და აცილება განცხადებული არბიტრის კომენტარი აცილების საკითხებზე.

6. თუ განცხადებულ აცილებას ეთანხმება მეორე მხარე იგი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში აცილების საკითხს წყვეტს საქმის განმხილველი არბიტრაჟი ან პალატის თავმჯდომარე.

7. აცილების დაკმაყოფილების შემთხვევაში საქმე უბრუნდება მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც მას განსახილველად გადასცემს არბიტრაჟის სხვა შემადგენლობას.

8. მხარეს არა აქვს უფლება, მოითხოვოს თავის მიერ დანიშნული არბიტრის აცილება.

9. არბიტრის აცილების საკითხს განიხილავენ არბიტრაჟის სხვა წევრები. ხოლო, თუ აცილების შესახებ განუცხადეს არბიტრს, რომელიც ერთპიროვნულად იხილავს საქმეს, აცილების საკითხს წყვეტს თვით ეს არბიტრი. აცილების მიღების შემთხვევაში, არბიტრი საქმეს გადასცემს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, რომელიც ამ საქმის განსახილველად ნიშნავს სხვა არბიტრს.

10. თუ აცილების შესახებ განუცხადეს სამი არბიტრისაგან შემდგარი არბიტრაჟის მთელ შემადგენლობას, საკითხს გადაწყვეტს ამავე არბიტრაჟის სრული შემადგენლობა ხმათა უმრავლესობით. არბიტრაჟის მთელი შემადგენლობის, ან მისი წევრების უმრავლესობის აცილების შემთხვევაში, არბიტრების დანიშვნა მოხდება თავდაპირველი პროცედურის დაცვით.

11. არბიტრაჟის ყველა წევრის ან უმრავლესობის შეცვლის შემთხვევაში, უნდა განმეორდეს მათ შეცვლამდე განხორციელებული ყველა საარბიტრაჟო მოქმედება.

12. მხარეს, რომელიც აცხადებს არბიტრის აცილებას, შეუძლია აცილებაზე უარის თქმის შესახებ არბიტრაჟის გადაწყვეტილების გამოტანიდან 30 დღის ვადაში მიმართოს სასამართლოს არბიტრის აცილების მოთხოვნით. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის წარმოება, იმ არბიტრის მონაწილეობით, რომლის აცილებასაც ითხოვდა მხარე და გამოიტანოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილება.

მუხლი 7. არბიტრის უფლებამოსილების შეწყვეტა

1. პალატას უფლება აქვს უფლებამოსილება შეუწყვიტოს დანიშნულ არბიტრს (არა აქვს მნიშვნელობა, თუ ვისი დანიშნულია იგი) და მის ნაცვლად დანიშნოს სხვა არბიტრი, თუ:

1.1) არბიტრმა წერილობით განაცხადა, რომ არ სურს არბიტრის ფუნქციების შესრულება, ამ განცხადების პირი გადაეცემა მხარეებს და არბიტრაჟის წევრებს;

1.2) არბიტრს დროებით ან/და სრულად შეეზღუდა ქმედითუნარიანობა, სერიოზულად დაავადდა, რაც ხელს შეუშლის თავისი ფუნქციების განხორციელებაში;

1.3) არბიტრმა განაცხადა თვითაცილების შესახებ, ამ განცხადების პირი გადაეცემა მხარეებს და არბიტრაჟის წევრებს;

1.4) არბიტრი სისტემატიურად ან/და განზრახ თავს არიდებს თავისი მოვალეობის შესრულებას, სამართლიანად და მიუკერძოებლად არ განიხილავს საქმეს, ან ჯეროვნად არ ასრულებს თავის ფუნქციებს;

1.5) არბიტრის გარდაცვალების შემთხვევაში

2. ერთ–ერთი მხარის მოთხოვნის საფუძველზე პალატის თავმჯდომარე განკარგულებით შეწყვიტავს არბიტრის უფლებამოსილებას, როდესაც იგი მოკლებულია იურიდიულად ან ფიზიკურად შესაძლებლობას შეასრულოს თავისი მოვალეობა, ახორციელებს მას დებულებისა და მხარეთა შეთანხმების დარღვევით ან საერთოდ უარს აცხადებს თავისი მოვალეობების შესრულებაზე.

3. პალატის თავმჯდომარე უფლებამოსილია საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე მოისმინოს გადაყენებული არბიტრისა და მხარეთა კომენტარი უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე, ასევე გადაწყვიტოს უფლებამოსილების შეწყვეტამდე არბიტრაჟის მიერ განხორციელებული მოქმედებების განმეორების საკითხი.

მუხლი 8. არბიტრის შეცვლა

1. აცილების დაკმაყოფილების ან უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ახალი არბიტრი ინიშნება იმავე წესით, როგორითაც შესაცვლელი არბიტრი.

2. პალატის თავმჯდომარის გადაწყვეტილება აცილებისა და უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებზე, თავისი შინაარსით ითვლება შიდა ადმინისტრაციულ აქტად და თავმჯდომარე არ არის ვალდებული დაასაბუთოს მათი მოტივები.

მუხლი 9. ექსპერტის, თარჯიმნის, მდივნის აცილება

ექსპერტის, თარჯიმნის, სხდომის მდივნის აცილება დასაშვებია რეგლამენტით გათვალისწინებული საერთო საფუძველით.

მუხლი 10. არბიტრაჟის ჩატარების ადგილი

1. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად მიიჩნევა შეთანხმებაში მითითებული ადგილი, მითითების არარსებობის შემთხვევაში განხილვის ადგილად მიიჩნევა არბიტრაჟის მუდმივი იურიდიული მისამართი ან მისი მუდმივი ფაქტიური მისამართი.
2. პალატა უფლებამოსილია სხდომების გამართვის ან ცალკეული საპროცესო მოქმედებათა შესრულების მიზნით შეიკრიბოს ნებისმიერ ადგილას თავისი შეხედულებისამებრ.

მუხლი 11. საარბიტრაჟო განხილვის ენა

1. საარბიტრაჟო განხილვა იწარმოება შეთანხმებაში მითითებულ ენაზე. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში განხილვა იმართება ქართულ ენაზე.
2. არბიტრაჟს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს ყველა წარმოდგენილი დოკუმენტის, მტკიცებულების თარგმნა საარბიტრაჟო განხილვის ენაზე. მუდმივმოქმედ არბიტრაჟს მხარეები ყველა წერილობით დოკუმენტს წარედგინება საარბიტრაჟო განხილვის ენაზე.
3. პირს, რომელმაც არ იცის საარბიტრაჟო განხილვის ენა, შეუძლია ჰყავდეს თარჯიმანი.

მუხლი 12. გამოყენებითი სამართალი

1. იურიდიქციის დადგენისას და საარბიტრაჟო განხილვის პროცედურის მიმართ არბიტრაჟი ხელმძღვა-ნელობს წინამდებარე რეგლამენტით.
2. დავის არსებითი საკითხების გადაწყვეტა ხორციელდება მხარეთა შეთანხმებით, შეთანხმების არარსე-ბობის შემთხვევაში არბიტრაჟი ხელმძღვანელობს წინამდებარე რეგლამენტითა და მოქმედი კანონმდებ-ლობით.

მუხლი 13. კონფიდენციალურობა

1. არბიტრაჟის სხდომები დახურულია, თუ მხარეთა მიერ სხვა რამ არ არის წერილობითი შეთანხმებით დადგენილი.
2. არბიტრები, მხარეები და საქმეში მონაწილე სხვა პირები, ვალდებულნი არიან უზრუნველყონ იმ ინფორ-მაციის კონფიდენციალურობა, რაც მათთვის ცნობილი გახდა განხილვაში მონაწილეობით, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან ან ასეთი გამჟღავნება არ წარმოადგენს კანონის მოთხოვნას.

მუხლი 14. ვადები

1. ვადები გამოითვლება კალენდარული დღეებით და განისაზღვრება დებულებით ან მხარეთა შეთანხმებით. განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება შესაბამისი მოქმედების შესრულების შესაძლებლობა. თუ ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე დღეს, ვადა ამოწურულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს.
2. საარბიტრაჟო განხილვა იწყება პრეტენზიის წარმოებაში მიღებისა და არბიტრაჟის ფორმირებიდან 10 (ათი) დღის გსნმავლობაში და უნდა დამთავრდეს 180 (ასოთხმოცი) დღის ვადაში. აღნიშნული ვადა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ 180 (ასოთხმოცი) დღით.
3. საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება, რეგლამენტით ან არბიტრაჟის მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ. დაგვიანებით წარმოდგენილი დოკუმენტი დარჩება განუხილველი.
4. დებულებით გათვალისწინებული ვადების გაგრძელება არბიტრაჟის მიერ შესაძლებელია მხოლოდ საპატიო მიზეზების არსებობისას ან მოწინააღმდეგე მხარის თანხმობის შემთხვევაში.
5. არბიტრის აცილების ხანდაზმულობის ვადაა ერთი კვირა მხარეთათვის არბიტრაჟის დაკომპლექტების შესახებ შეტყობინების ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა შეტყობის დღიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღმომჩენ მხარეს უნდა სცოდნოდა ამ გარემოებათა შესახებ არბიტრაჟის დაკომპლექტებისას.

მუხლი 15. კომუნიკაცია არბიტრაჟსა და მხარეებს შორის

1. არბიტრაჟსა და მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება წერილობით, საარბიტრაჟო განხილვის ენაზე, სამდივნოს საშუალებით.
2. პრეტენზიები, შესაგებლები, გადაწყვეტილებები, განკარგულებები, უწყებები და სხვა წერილობითი შეტყო-ბინებები ადრესატს ეგზავნება კურიერის მეშვეობით ან ფოსტით, ტელექსით, ტელეფონოგრამით, ფაქსით და სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, რომელიც იძლევა გაგზავნის რეგისტრაციისა და დადასტურების ჩანაწერს.
3. წერილობითი შეტყობინება მიღებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდა პრეტენზიაში მითითებულ მისამართზე. მისამართის შეცვლის შემთხვევაში, ცნობის უქონლობისას, შეტყობინება იგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ჩაითვლება, თუნდაც ადრესატი იქ აღარ იმყოფე-ბოდეს.
4. ადრესატის არყოფნის შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება თუ იგი ჩაბარდება იმავე მისა-მართზე მყოფ ნებისმიერ სრულწლოვან, ქმედუნარიან პირს, რომელიც თანახმა იქნება გადასცეს ადრესატს.
5. შეტყობინების მიღებაზე ადრესატის უარის შემთხვევაში, იგი სათანადო აღნიშვნით უბრუნდება არბიტრაჟს და ჩაითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 16. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები

1. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯები შედგება: „სარეგისტრაციო მოსაკრებლისაგან“, „საარბიტრაჟო მოსაკ-რებლისაგან“ და “არბიტრაჟის დამატებითი ხარჯებისაგან”. (ექსპერტიზის ხარჯი, ექსპერტებისა და თარჯიმნების ჰონორარი, მტკიცებულებათა გამოკვლევის/დათვალიერების ხარჯი, არბიტრთა ან/და გამოკვლევ/დამთვარიელებელ პირთა გადაადგილების ხარჯი)
2. სარეგისტრაციო და საარბიტრაჟო მოსაკრებლების ოდენობა, მათი განაწილება და გადახდა, აგრეთვე არბიტრაჟის სხვა დამატებითი ხარჯების დაფარვა, განისაზღვრება „საარბიტრაჟო ხარჯების და მოსაკ-რებლების შესახებ“ წესებით, რომელიც ამ დებულების განუყოფელი ნაწილია.
3. არბიტრაჟში პრეტენზიის ან განცხადების წარდგენისას პრეტენდენტი ვალდებულია გადაიხადოს „სარეგის-ტრაციო მოსაკრებელი“, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია ან განცხადება წარდგენილად არ ჩაითვლება.

4. „საარბიტრაჟო მოსაკრებელის“ საავანსო თანხას განსაზღვრავს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე, რომლის გადახდამდე საქმე წარმოებაში არ მიიღება.
„სარეგისტრაციო მოსაკრებელი“ ჩაითვლება „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ თანხაში.
5. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას არბიტრაჟი დააკისრებს მთლიანად ერთ-ერთ მხარეს ან/და მხარეებს გარკვეული პროპორციით. არბიტრაჟის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების დაკისრების შესახებ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემადგენელი ნაწილია.
6. საარბიტრაჟო განხილვის ხარჯის გარდა, არბიტრაჟის გადაწყვეტილებით ერთ-ერთ მხარეს შეიძლება დაეკისროს მხარის მოთხოვნის საფუძველზე მის მიერ საარბიტრაჟო განხილვასთან დაკავშირებული იურიდიული ხარჯები მთლიანად ან ნაწილობრივ.

კარი მესამე
მხარეები

მუხლი 17. მხარეთა საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებები

1. მხარეები სარგებლობენ თანაბარი საარბიტრაჟო-საპროცესო უფლებებით. მათ უფლება აქვთ: გაეცნონ საქმის მასალებს; გააკეთონ ამონაწერები ამ მასალებიდან; გადაიღონ ასლები; განაცხადონ აცილებების შესახებ; წარმოადგინონ მტკიცებულებანი; მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში; შეკით-ხვები დაუსვან მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს; განაცხადონ არბიტრაჟის წინაშე შუამდგომ-ლობები; მისცენ არბიტრაჟს ზეპირი ან წერილობითი ახსნა-განმარტება, წარადგინონ თავიანთი დასკვნები და გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე; უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები; ისარგებლონ დებულებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.
2. მხარეებს შეუძლიათ არბიტრაჟში დავა აწარმოონ როგორც უშუალოდ, ისე უფლებამოსილი წარმომად-გენლის მეშვეობით.
3. ორგანიზაციის წარმომადგენლობა დასტურდება ამ ორგანიზაციის მიერ გაცემული უფლებამოსილების დამადასტურებელი საბუთით.
4. ფიზიკური პირების წარმომადგენლობა დასტურდება სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობით.
5. მარწმუნებელს უფლება აქვს, საქმის წარმოების ყველა სტადიაზე გააუქმოს გაცემული მინდობილობა და შეწყვიტოს წარმომადგენლის უფლებამოსილება, რის შესახებაც წერილობით უნდა აცნობებს არბიტრაჟს და წარმომადგენელს. წარმომადგენლის უფლებამოსილების შეწყვეტა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერებისა თუ საქმის განხილვის გადადების საფუძველს. წარმომადგენლის (რომელსაც უფლებამოსი-ლება აქვს შეწყვეტილი) მიერ კანონისა და დებულების შესაბამისად შესრულებული ყველა იურიდიული და საპროცესო მოქმედება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.
6. საარბიტრაჟო პრეტენზია შეიძლება წარდგენილ იქნეს ერთად რამდენიმე მოსარჩელის მიერ ან რამდენიმე მოპასუხის წინააღმდეგ.
7. თანამონაწილენი სარგებლობენ კანონით და დებულებით მხარეებისათვის მინიჭებული ყველა უფლებით.
8. თუ არბიტრაჟი საქმის განხილვისას დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის მიერ, რომელსაც აქვს მოთხოვნის უფლება, მას შეუძლია სათანადო პირის თანხმობით საქმის შეუწყვეტლად შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე სათანადო მოსარჩელით, თუ სათანადო მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება.
9. თუ სათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა, შეცვალოს არასათანადო პირი, არბიტრაჟი შეწყვეტს საარბიტრაჟო წარმოებას. თუ არასათანადო მოსარჩელე არ არის თანახმა შეიცვალოს სათანადო მოსარჩელით, არბიტრაჟი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.
10. თუ საქმის განხილვისას არბიტრაჟი დაადგენს, რომ საარბიტრაჟო პრეტენზია აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მას შეუძლია მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, თუ: ა) მოსარჩელესა და სათანადო მოპასუხეს შორის არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება, ან ბ) თუ მოპასუხე არ არის წინააღმდეგი დავა განიხილოს არბიტრაჟმა.
11. თუ მოსარჩელე არ არის თანახმა, სათანადო მოპასუხით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე, არბიტრაჟი თავისი გადაწყვეტილებით უარს ეტყვის მოსარჩელეს საარბიტრაჟო პრეტნზიის დაკმაყოფილებაზე.
12. თუ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ არსებობს შესაბამისი საარბიტრაჟო შეთანხმება და მოპასუხე არ არის თანახმა, მოცემული დავა განიხილოს არბიტრაჟმა, არბიტრაჟი განუხილველად ტოვებს საარბიტრაჟო პრეტენზიას.

მუხლი 18. მესამე პირები

მხარეთა შუამდგომლობით, ზეპირი პაექრობის დამთავრებამდე, საქმის ინტერესებიდან გამომდინარე საქმეში შეიძლება ჩართული იქნან მესამე პირები, რისთვისაც სავალდებულოა მხარეთა და ამ პირთა წერილობითი შეთანხმება.

კარი მეოთხე
მტკიცებულებები

მუხლი 19. მტკიცებულებათა შეგროვება

1. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.
2. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა ახსნა-განმარტებებით, მოწმეთა ჩვენებით, წერი-ლობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით.
3. საარბიტრაჟო განხილვისათვის საჭირო მტკიცებულებებს წარმოადგენენ მხარეები. არბიტრაჟს (არბიტრა-ჟის თავმჯდომარეს) შეუძლია შესთავაზოს მხარეებს, წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები.
4. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და წარმოდგენა, არბიტრაჟს (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის

თავმჯდომარეს) მხარეთა შუამდგომლობით ან თავისი ინიცი-ატივით შეუძლია მიმართოს კომპეტენტურ სასამართლოს მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით; ასევე, მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ განჩინების გამოტანის მოთხოვნით.

5. არბიტრაჟი აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს საარბიტ-რაჟო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დას-კვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.
6. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს არბიტრაჟის შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტი-ლებაში.
7. ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, არბიტრაჟმა შეიძლება საკმა-რისად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებას.
8. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად:
   8.1) რომლებსაც არბიტრაჟი მიიჩნევს საყოველთაოდ ცნობილ ფაქტებად;
   8.2) რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს ან არბიტრაჟის მიერ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, როცა საქმეს განიხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედების სამოქალაქო-სამართლებრივი შედეგების შესახებ, ვის მიმართაც გამოტანილია გადაწყვეტილება.
   8.3) პირის მიერ რაიმე ქმედების განხორციელების შესახებ, რომლებიც დადგენილია სისხლის სამართლის საქმეზე ან/და ადმისტრაციულ სამართლებრივ დავაზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, როცა საქმეს განიხილავს არბიტრაჟი იმ პირის მოქმედებისა და განსახილველ დავას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენისას.
9. მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ როგორც წერილობით, ისე ზეპირი ფორმით განცხადებულ შუამდგომლობაში უნდა აისახოს:
   9.1) მტკიცებულებანი, რომელთა უზრუნველყოფაც აუცილებელია;
   9.2) გარემოებანი რომელთა დასადასტურებლადაც საჭიროა ეს მტკიცებულებანი;
   9.3) მიზეზები, რომლებმაც აიძულა განმცხადებელი, მიემართა შუამდგომლობით მტკიცებულებათა უზრუნველყოფის შესახებ;
   9.4) მოწინააღმდეგე მხარის გვარი, სახელი და მისამართი.
10. მტკიცებულებათა უზრუნველსაყოფად გაწეულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის წინაშე ამგვარი უზრუნველყოფის შესახებ. მოწინააღმედგე მხარეს უფლება აქვს, მოითხოვოს მტკიცებულებათა უზრუნველყოფაში მონაწილეობისათვის მის მიერ გაწეული ხარჯების ანაზღაურება. საბოლოოდ, ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

კარი მეხუთე
საარბიტრაჟო წარმოების დაწყება

მუხლი 20. საარბიტრაჟო წარმოების წარმართვა

1. მხარეებს უფლება აქვთ (და რეკომინდირებულია), რომ თავისი შეხედულებისამებრ შეთანხმდნენ საარბიტრაჟო განხილვის პროცედურაზე, ოღონდ იმ პირობით, რომ ისინი განუხრელად დაიცავენ საარბიტრაჟო წარმოების შემდეგ საერთო წესებს:
   1.1) ყველა მხარის მიმართ სამართლიანი და მიუკერძოებელი დამოკიდებულების უზრუნველყოფა, თითო-ეული მხარის მიმართ თავისი პოზიციის გადმოცემის საკმარისი შესაძლებლობისა და ოპონენტის პოზიციის გაქარწყლების საშუალების მიცემა;
   1.2) ისეთი პროცედურების დადგენა, რომელიც შეესაბამება მოცემული განხილვის გარემოებებს, უსაფუძ-ვლო შეფერხებებისა და ხარჯის თავიდან აცილება და ამგვარად დავის საბოლოო სამართლიანი და ეფექტური გზით გადაწყვეტის უზრუნველყოფა.
2. მხარეთა ასეთი შეთანხმება შედგენილი უნდა იყოს წერილობით ან მხარეთა თხოვნითა და თანხმობით პალატის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული.
3. იმ შემთხვევაში, როცა მხარეთა შორის არ არსებობს პირველი პუნქტის შესაბამისად დადგენილი შეთან-ხმება, არბიტრაჟს სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეასრულოს თავისი მოვალეობა იმ წესის (წესების) შესაბამისად, რომელსაც იგი ჩათვლის გამოყენებადად, ხოლო მხარეები ვალდებულნი არიან დროულად მიიღონ მათზე დამოკიდებული ყველა აუცილებელი ზომა საარბიტრაჟო განხილვის სამართლიანი, ეფექტური და სწრაფი განხილვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 21. საარბიტრაჟო პრეტენზია

1. საარბიტრაჟო წარმოება იწყება მხარის–"პრეტენდენტის" წერილობითი მომართვის–(განცხადების ან საარბიტრაჟო პრეტენზიის) საფუძველზე.
2. საარბიტრაჟო პრეტენზიაში უნდა მიეთითოს:
   2.1) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება;
   2.2) პრეტენდენტის რეკვიზიტები;
   2.3) მოპასუხის რეკვიზიტები;
   2.4) დავის საგნის მოკლე აღწერა;
   2.5) პრეტენდენტის მოთხოვნა;
   2.6) ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს მოთხოვნებს; მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ გარემოებებს.
   2.7) დავის საგნის ფასი;
   2.8) არბიტრაჟის იურისდიქციის აღიარება–საარბიტრაჟო შეთანხმება;
   2.9) თანდართული დოკუმენტების ნუსხა.
   2.10) არბიტრობის კანდიდატის რეკვიზიტები, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით;
   2.11) „საარბიტრაჟო ხარჯების და მოსაკრებლების შესახებ" გათვალისწინებული სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელ საბუთს

2.12) პრეტენდენტის ხელმოწერა

3. პრეტენზიას სავალდებულოა ერთვოდეს დავასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის ასლი და მოსაკრებლების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, თანახმად „საარბიტრაჟო ხარჯებისა და მოსაკრებლების შესახებ“ წესებისა.

4. პრეტენზიასთან ერთად მხარემ შეიძლება წარმოადგინოს არბიტრაჟისადმი შემდეგი შუამდგომლობები:
   4.1) გამოთხოვილი იქნას მოპასუხისაგან, მასთან არსებული მასალები, რომლებზედაც პრეტენდენტი ამყარებს თავის მოთხოვნას;
   4.2) დაბარებული იქნან მოწმეები;
   4.3) განხორციელდეს პრეტენზიისა და მტკიცებულებათა უზრუნველყოფა (როგორც პრეტენზიის განხილვის პროცესში, ასევე პრეტენზიის აღძვრამდე).

5. პრეტენზია და თანდართული მასალები წარედგინება არბიტრაჟს თითოეული მხარისათვისა და არბიტრაჟისათვის საკმარისი ეგზემპლიარების ოდენობით.

6. მოთხოვნების დარღვევით წარდგენილი პრეტენზია არ მიიღება, პრეტენდენტს მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ხარვეზის ვადაში შეუვსებლობის შემთხვევაში, პრეტენზია შეტანილად არ ჩაითვლება.

მუხლი 22. პრეტენზიის საგნის ფასის განსაზღვრა

1. დავის საგნის ფასი განისაზღვრება:
   1.1) პრეტენზიებში ფულად მოთხოვნებზე – მოთხოვნილი თანხით.
   1.2) ქონებრივ მოთხოვნებზე – ქონების ღირებულებით.
   1.3) პრეტენზიებში სამართალურთიერთობის აღიარების შესახებ – პრეტენდენტის ქონებრივი ინტერესით, სამართალურთიერთობის საგნის ღირებულებით.

2. პრეტენზიაში სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე რამოდენიმე მოთხოვნის ჩამოყალიბების შემთხვევაში, დავის საგნის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მოთხოვნისათვის ცალ–ცალკე და მათი საერთო ღირებულებით

3. გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის შესახებ პრეტენზიაზე პრეტენდენტის ქონებრივი ინტერესების შესაბამისად. პრეტენდენტი ვალდებულია პრეტენზიის ფასი მიუთითოს იმ შემთხვევაშიც, როცა პრეტენზია ან მისი ნაწილი არ ატარებს ქონებრივ ხასიათს.

4. თუ პრეტენდენტმა არ განსაზღვრა ან/და არასწორად განსაზღვრა პრეტენზიის ფასი, მაშინ პალატა თავისი ინიციატივით ან მოპასუხის მოთხოვნით განსაზღვრავს სარჩელის ფასს არსებული მონაცემების საფუძველზე

მუხლი 23. უარი პრეტენზიის მიღებაზე

1. არბიტრაჟი არ მიიღებს პრეტენზიას თუ:
   1.1) საქმე არ არის არბიტრაჟის განსჯადი;
   1.2) არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება, სხვა არბიტრაჟის გადაწყვეტილება დავაზე იმავე მხარეებს შორის, იგივე საგანზე და იგივე საფუძვლით, ან ასეთი დავა მხარეთა შორის წარმოებაშია.
   1.3) პრეტენზია შეიტანა ქმედუუნარო პირმა, ან პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე.

2. პრეტენზიის მიღებაზე უარის თქმის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე გამოიტანს განკარგულებას, მითითებით როგორ შეიძლება იქნას აცილებული საქმის აღძვრის დამაბრკოლებელი გარემოებანი.

მუხლი 24. არბიტრაჟის განკარგულება

1. დადგენილება რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება არბიტრაჟი მიიღებს განკარგულების ფორმით.

2. განკარგულებაში აღინიშნება:
   2.1) მიღების დრო და ადგილი;
   2.2) არბიტრაჟის შემადგენლობა;
   2.3) საარბიტრაჟო შეთანხმება;
   2.4) მხარეები და დავის საგანი;
   2.5) საკითხი, რომელზედაც მიღებული იქნა განკარგულება;
   2.6) მოტივი და სამართლის ნორმები რომლითაც არბიტრაჟი მივიდა თავის დასკვნამდე;
   2.7) დადგენილება.

მუხლი 25. საარბიტრაჟო შეტყობინება და დაბარება

1. არბიტრაჟი (საარბიტრაჟო უწყებით – წერილობითი შეტყობინებით, ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა ტექნიკური საშუალებით) აცნობებს მხარეს არბიტრაჟის სხდომის ან ცალკეული საარბიტრაჟო-საპროცესო მოქმედების შესრულების დროისა და ადგილის შესახებ.

2. საარბიტრაჟო უწყებით არბიტრაჟში ასევე იბარებენ მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს და თარჯიმნებს.

3. შეტყობინება მხარისათვის და მისი წარმომადგენლისათვის მიიჩნევა ჩაბარებულად, თუ იგი ჩაბარდება ერთ-ერთ მათგანს პირადად, მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე ან/და იურიდიულ მისამართზე. პირადად ჩაბარებად ითვლება შეტყობინების უშუალოდ ჩაბარება ან გადაცემა ტექნიკური საშუალებით (ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვ.).

4. მხარეები, მათი წარმომადგენლები, აგრეთვე მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები, შეიძლება დაიბარონ ტელეფონით, დეპეშით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით. ტექნიკური საშუალებით დაბარებისას მიეთითება ყველა ის საკითხი, რომელიც შეიტანება შეტყობინებაში. ტექნიკური საშუალებით შეტყობინებისას დგება აქტი, რომელიც უნდა ჩაიკეროს საქმეში.

5. შეტყობინება უნდა შეიცავდეს:
   5.1) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის სახელწოდებასა და ზუსტ მისამართს;
   5.2) მითითებას გამოცხადების დროისა და ადგილის შესახებ; ხოლო თუ შეტყობინება ეგზავნება წარმომადგენელს, მითითებას იმის თაობაზე, რომ იგი ვალდებულია აცნობოს ამის შესახებ მხარეს, რომლის წარმომადგენელიც ის არის;
   5.3) საქმის დასახელებას, რომლის გამოც იბარებენ ამა თუ იმ პირს და მითითებას დავის საგნის შესახებ;

5.4) დასაბარებელი პირის ვინაობას, აგრეთვე იმას, თუ რა სტატუსით არის იგი დაბარებული; წინადადებას მხარეების მიმართ, წარმოადგინონ მათთან არსებული ყველა მტკიცებულება;

5.5) წინადადებას მხარისთვის წარმოადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები;

5.6) მითითებას, რომ ადრესატის არყოფნისას შეტყობინების მიმღები პირი ვალდებულია პირველი შესაძლებლობისთანავე ჩააბაროს შეტყობინება ადრესატს;

5.7) მითითებას გამოუცხადებლობის შედეგებზე და ვალდებულებას, აცნობოს არბიტრაჟს გამოუცხადებლობის მიზეზები;

5.8) შეტყობინებას, რომ დაბარებული პირის გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

6. შეტყობინებასთან ერთად არბიტრაჟი მოპასუხეს უგზავნის საარბიტრაჟო პრეტენზიას და თანდართული დოკუმენტების ასლებს. შეტყობინებასთან ერთად არბიტრაჟი მოსარჩელეს უგზავნის მოპასუხის წერილობითი განცხადების ასლს, თუ ასეთი განცხადება შემოვიდა არბიტრაჟში შეტყობინების გაგზავნის დროისათვის.

7. არბიტრაჟი ვალდებულია, მიღებიდან ორი დღის განმავლობაში მხარეს გაუგზავნოს მეორე მხარისაგან მიღებული ყოველი განცხადების, დოკუმენტის, თხოვნის, ინფორმაციის ასლი. დოკუმენტების გაგზავნა შესაძლებელია როგორც ფოსტით, ისე ტექნიკური საშუალების გამოყენებით, არბიტრაჟის არჩევით.

8. თუ პირველად გაგზავნისას ვერ ხერხდება შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება, ის დასაბარებელ პირს დამატებით ერთხელ მაინც უნდა გაეგზავნოს იმავე ან არბიტრაჟისათვის ცნობილ სხვა მისამართზე. თუ ამ წესის დაცვის მიუხედავად პრეტენდენტს მის მიერ მითითებულ მისამართზე შეტყობინება ვერ ჩაბარდა, შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება. მოპასუხის შემთხვევაში, დამატებით აუცილებელია შეტყობინების გამოქვეყნება იმ გაზეთის მეშვეობით, რომელიც ვრცელდება მის საცხოვრებელ რაიონში. მხარე უფლებამოსილია, არბიტრაჟის განჩინების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საჯარო შეტყობინება ინფორმაციის სხვა საშუალებებით. შეტყობინება მხარისათვის ჩაბარებულად მიიჩნევა გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

9. ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი შეტყობინების და დოკუმენტების ჩაბარება დასტურდება:

9.1) ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით შეტყობინების/დოკუმენტების გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით;

9.2) ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით და ტექნიკური საშუალებით შეტყობინების/დოკუმენტების გადაცემის შესახებ შედგენილი აქტით.

10. შეტყობინების ან/და დოკუმენტების დროულად ჩაბარების მიზნით, მხარეს შეუძლია არბიტრაჟის მიმართ წერილობითი განცხადების საფუძველზე, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კურიერის გადაადგილება და მისი მეშვეობით შეტყობინების/დოკუმენტების ჩაბარება. პირი, რომელსაც არბიტრმა დაავალა შეტყობინების/დოკუმენტების მიტანა, ვალდებულია, არბიტრაჟს დაუბრუნოს მისი მეორე ეგზემპლარი მიმღების ხელმოწერით.

11. მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან, აცნობონ არბიტრაჟს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას შეტყობინება გაიგზავნება არბიტრაჟისათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად იქნება მიჩნეული, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

12. თუ ადრესატმა უარი განაცხადა უწყების მიღებაზე, მისი მიმტანი პირი აკეთებს სათანადო აღნიშვნას უწყებაზე, რომელიც უბრუნდება არბიტრაჟს. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად იქნება მიჩნეული და არბიტრაჟს შეეძლება განიხილოს დავა.

13. უწყების სანიმუშო ფორმასა და შინაარსს ადგენს პალატის თავმჯდომარე.

14. თუ საარბიტრაჟო განხილვაში მონაწილეობის უფლება მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, უწყება ჩაბარდება მას და იგი ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს. უწყების ჩაბარება იმ თანამონაწილისთვის, რომელსაც მინდობილი აქვს საქმის წარმოება, ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისთვის.

მუხლი 26. შეტყობინება მოპასუხისადმი

1. საქმის განხილვისათვის მომზადების მიზნით სამდივნო:

1.1) გადაუგზავნის მოპასუხეს პრეტენზიას თანდართული მასალებით და დაუნიშნავს ვადას, წერილობითი შესაგებელის წარმოსადგენად პრეტენზიაში დასმულ საკითხებზე;

1.2) მიმართავს შეტყობინებით დანიშნოს არბიტრი თუ ეს გათვალისწინებულია შეთანხმებით.

2. მოპასუხის შესაგებელში უნდა ჩამოყალიბდეს:

2.1) პრეტენზიის წინააღმდეგ კომენტარი კონკრეტული გარემოებების მითითებით;

2.2) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ აღნიშნულ გარემოებებს;

2.3) აქვს თუ არა აცილება არბიტრაჟისადმი, აპირებს თუ არა შეგებებული პრეტენზიის აღძვრას;

2.4) სხვა მოთხოვნები, რაც მოპასუხის შეხედულებისამებრ მნიშვნელოვანია საქმის წარმოებისათვის;

2.5) არბიტრიბის კანდიდატის რეკვიზიტები, თუ ეს გათვალისწინებულია მხარეთა შეთანხმებით;

3. მოპასუხის მიერ შესაგებელის წარმოდგენის შემთხვევაში ერთი ეგზემპლარი, დართული მასალებით გადაეცემა პრეტენდენტს, რომელიც უფლებამოსილია წარმოადგინოს დამატებითი მოსაზრებები შესაგებელზე, არბიტრაჟის მიერ დანიშნულ ვადაში.

მუხლი 27. შეგებებული პრეტენზია

1. მოპასუხე უფლებამოსილია საქმის განხილვისათვის მომზადების დამთავრებამდე აღძრას შეგებებული პრეტენზია, პირვანდელ პრეტენზიასთან ერთად განსახილველად.

2. თუ არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს ვადის გაშვებას, მოპასუხეს შეუძლია აღძრას შეგებებული პრეტენზია მტკიცებულებათა გამოკვლევის დამთავრებამდე.

3. შეგებებული პრეტენზიის წარდგენა განხორციელდება საარბიტრაჟო პრეტენზიის ფორმის დაცვით.
4. არბიტრაჟი მიიღებს შეგებებულ პრეტენზიას თუ მისი დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს ძირითადი პრეტენზიის დაკმაყოფილების შესაძლებლობას ან მათ შორის არის ურთიერ-თკავშირი და ერთად განხილვა უზრუნველყოფს დავის უფრო სწრაფად და ობიექტურად გადაწყვეტას.
5. პრეტენზიათა გაერთიანების შემთხვევაში, არბიტრაჟი გამოიტანს ერთობლივ გადაწყვეტილებას.

მუხლი 28. უზრუნველყოფის ზომები

1. ერთ–ერთი მხარის შუამდგომლობით, არბიტრაჟმა შეიძლება განკარგულებით დაადგინოს მეორე მხარის მიმართ, დავის საგნის უზრუნველსაყოფად ზომების მიღება.
2. არბიტრაჟს შეუძლია მოითხოვოს მომმართველი მხარისაგან შესაძლო ზიანის გონივრული გარანტია, რაც შეიძლება განიცადოს საწინააღმდეგო მხარემ უზრუნველყოფის ზომების მიღების შედეგად.
3. არბიტრაჟი უფლებამოსილია დაადგინოს უზრუნველყოფის ნებისმიერი გონივრული ღონისძიება, საკუთარი შეხედულებისამებრ.

მუხლი 29. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფა

1. მხარეს შეუძლია განცხადებით მიმართოს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს ან არბიტრაჟს საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ. ხარემ, რომელიც შუამდგომლობით მიმართავს არბიტრაჟს, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, უნდა დაასაბუთოს შემდეგი გარემოებების არსებობა:
   ა) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენლობამ შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ზიანი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება მეორე მხარისათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებით;
   ბ) საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენლობით გამოწვეული ზიანი მნიშვნელოვნად აღემატება, იმ ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს იმ მხარეს, რომლის წინააღმდეგადაც მიმართულია უზრუნველყოფის ღონისძიება, მისი გამოყენების შემთხვევაში.
   გ) მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებას, აგრეთვე მითითებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების ჩატარება მიაჩნია მხარეს საჭიროდ.
2. განცახდებას პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს მუდმივმოქმედი არბიტრაჟი ან არბიტრაჟი განცხადების შეტანიდან არა უგვიანეს შემდეგი დღისა.
3. საარბიტრაჟო პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს გამოაქვს განკარგულება, ხოლო არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს უზრუნ-ველყოფის რა კონკრეტული ღონისძიება იქნა გამოყენებული.
4. სხვა ღონისძიებებთან ერთად, პრეტენზიის უზრუნველყოფის ღონისძიებები შეიძლება იყოს:
   4.1) ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქაღალდებსა თუ ფულად სახსრებზე, რომლებიც ეკუთვნის მოპასუხეს და იმყოფება მასთან ან სხვა პირთან;
   4.2) მოპასუხისათვის გარკვეული მოქმედების შესრულების აკრძალვა.
5. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯომარეს (ან არბიტრაჟს) შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია პრეტენზიის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში, შეიძლება დაშვებულ იქნეს პრეტენზიის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.
6. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს იმ ინფორმაციის დაუყოვნებლივ განცხადება, რომელიც უკავშირდება იმ გარემოებათა არსებით ცვლილებას, რომელთა საფუძველზეც მოხდა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება.
7. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული განცხადების დაკმაყოფილების შემთხვევაში არბიტრაჟში პრეტენზია შეტანილ უნდა იქნას პრეტენზიის უზრუნველყოფის შესახებ დადგენილების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

მუხლი 30. არბიტრაჟის უფლებამოსილებანი

1. საქმის მომზადების სტადიაზე–არბიტრაჟის ფორმირებამდე, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავჯდომარე აღჭურვილია არბიტრაჟის უფლებამოსილებით, გარდა უფლებისა მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება დავის საგანზე. იგი უფლებამოსილია:
   1.1) დაავალოს მხარეებს შეავსონ, საჭიროების შემთხვევაში განმარტონ მათ მიერ წარმოდგენილი მასალები;
   1.2) მხარეთა შუამდგომლობით გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომელთა წარმოდგენაც თავად მხარეებმა ვერ შესძლეს;
   1.3) გადაწყვიტოს ექსპერტიზისა და მოწმეთა გამოძახების ასევე პროცესში თანამონაწილეობის საკითხი;
   1.4) გადაწყვიტოს უზრუნველყოფის ზომების მიღება;
   1.5) გასცეს დავალებები და შეასრულოს სხვა მოქმედებები რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის მომზადებას.
2. მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ, საქმის მომზადების მიზნით, არბიტრაჟის მითითებები, შეუსრულებლობა არასაპატიო მიზეზით, ართმევს მხარეს უფლებას ასეთი მოქმედება შეასრულოს შემდგომში.
3. არბიტრაჟი (არბიტრაჟის თავმჯდომარე), ასევე უფლებამოსილია საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, ასევე განხილვამდე მიმართოს ნებისმიერ კომპეტენტურ სასამართლოს წინასწარი ან/და უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიღების მიზნით. სასამართლოსათვის მიმართვა ასეთი ღონისძიებათა მიღებისა თუ მათი არსრულების მიზნით არ წარმოადგეს საარბიტრაჟო შეთანხმების დარღვევას, მასზე უარის თქმას და არანაირ გავლენას არ ახდენს არბიტრაჟის უფლებამოსილებაზე.

კარი მეექვსე
საარბიტრაჟო განხილვა

მუხლი 31. საქმის გადაცემა არბიტრაჟზე

1. არბიტრაჟის ფორმირებისა და საქმის მომზადების დამთავრების შემდგომ დავა არსებითად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა ამ დავისათვის შექმნილ არბიტრაჟს.
2. საქმის მომზადების მდგომარეობის შემოწმების შემდგომ პალატა საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვიტავს მხარეებისაგან დამატებითი მტკიცებულებებისა თუ განმარტებების წარმოდგენის საკითხს.

მუხლი 32. საქმის მომზადება არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად

1. საქმის საარბიტრაჟო განხილვის მომზადების მიზნით არბიტრაჟი მიმართავს დებულებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.
2. არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განხილვისათვის საქმის მოსამზადებლად არბიტრაჟის თავმჯდომარეს შეუძლია:
   2.1) დაავალოს მხარეებს შეავსონ (საჭიროების შემთხვევაში განმარტონ) მათ მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალები; წინადადება მისცეს მათ, წარმოადგინონ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ნივთები თუ დოკუმენტები;
   2.2) მხარეთა თხოვნით გამოითხოვოს ის მტკიცებულებანი, რომელთა მიღებაც თავად მხარეებმა ვერ შეძლეს;
   2.3) დებულებით განსაზღვრულ შემთხვევაში მიმართოს სასამართლოს;
   2.4) გადაწყვიტოს საარბიტრაჟო პროცესში თანამონაწილეობის დაშვების საკითხი;
   2.5) შეამოწმოს მტკიცებულებები, თუ ეს ძნელი იქნება არბიტრაჟში საქმის არსებითად განხილვისას ან გააჭიანურებს საქმის განხილვას;
   2.6) ჩაატაროს ადგილზე დათვალიერება;
   2.7) გადაწყვიტოს სპეციალისტის მოწვევის საკითხი;
   2.8) დაიბაროს მოწმეები, სპეციალისტები საარბიტრაჟო სხდომის დღისათვის და სხვ.
3. არბიტრაჟის თავჯდომარეს შეუძლია სხვა მოქმედებების შესრულებაც, რომლებიც ხელს შეუწყობს არბიტრაჟის მთავარ სხდომაზე განსახილველად საქმის მომზადებას.
4. ამა თუ იმ საპროცესო მოქმედებების შესრულებისას (ადგილზე დათვალიერება, მოწმეთა დაკითხვა, მტკიცებულებათა უზრუნველყოფა, გეგმებისა და გაანგარიშებების შედგენა და ა.შ) არბიტრაჟს შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტი.
5. სპეციალისტად მოწვეული პირი ვალდებულია გამოცხადდეს არბიტრაჟში, გაუწიოს მას კონსულტაცია, აღმოუჩინოს ტექნიკური დახმარება.
6. სპეციალისტის ზეპირი კონსულტაცია შეიტანება საარბიტრაჟო სხდომის ოქმში, ხოლო მისი წერილობითი პასუხები დაერთვის საქმეს.
7. მხარეები მოვალენი არიან, შეასრულონ არბიტრაჟის თავჯდომარის მოთხოვნები საქმის მომზადების მიზნით.
8. საარბიტრაჟო განხილვის დღეს ნიშნავს არბიტრაჟი დადგენილებით.

მუხლი 33. მთავარი სხდომა

1. საქმის მომზადების დამთავრების შემდგომ, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე ზეპირი განმარტებებისა და პაექრობის წარმართვის მიზნით, იმართება მთავარი სხდომა, რომლის ჩატარების შესახებ ეცნობება მხარეებს და სხვა მონაწილე პირებს დებულებით დადგენილი წესით.
2. მთავარი სხდომის დაწყებამდე არბიტრაჟს შეუძლია ჩამოაყალიბოს საკითხები, რომლებზედაც სასურველია მხარეთა დეტალური კომენტარი.
3. რეგლამენტით დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარის სხდომაზე არაგამოცხადების მიუხედავად არბიტრაჟი უფლებამოსილია გააგრძელოს საქმის განხილვა წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, თუ არბიტრაჟს სხდომის დაწყებამდე არ ეცნობა, საპატიო მიზეზით სხდომის გადადების შესახებ.
4. მხარეს შეუძლია მოითხოვოს სხდომის ჩატარება და საქმის არსებითად გადაწყვეტა, მისი დასწრების გარეშე.
5. სხდომას წარმართავს არბიტრაჟის თავჯდომარე, სხდომაზე მყოფი ყველა პირი ვალდებულია დაიცვას დადგენილი წესი და დაემორჩილოს არბიტრაჟის განკარგულებებს.
6. განხილვა იწყება საქმის შესახებ თავმჯდომარის მოხსენებით, რომელიც ემყარება მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, მოხსენების შემდეგ ახსნა–განმარტებას იძლევა მხარეები.
7. არბიტრაჟი ყველა წამოჭრილ საკითხზე იღებს გონივრულ ზომებს, რომ საქმე ყოველმხრივ იქნას გამოკვლეული, მხარეთა პაექრობა ზედმეტად არ გაჭიანურდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად.
8. მხარეთა და სხვა პირთა ახსნა–განმარტების მოსმენის შემდეგ არბიტრაჟი შეუდგება წარმოდგენილ მტკიცებულებათა შემოწმებასა და გამოკვლევას.
9. ნებისმიერ მხარეს შეუძლია საქმის განხილვის დამთავრებამდე შეცვალოს ან შეავსოს თავისი სასარჩელო მოთხოვნები ან შესაგებელი, რომლის დასაშვებადობის საკითხს წყვეტს არბიტრაჟი.
10. არბიტრაჟს სრული უფლება აქვს თავად განსაზღვროს ყველა სხდომის მოსმენის ან მათი ნაწილის ხანგრძლივობა
11. მხარეები, წარმომადგენლები, მოწმეები, სპეციალისტები, თარჯიმნები, აგრეთვე საარბიტრაჟო სხდომის დარბაზში მყოფი მოქალაქე (თუ ასეთი დაშვებულია), ვალდებულნი არიან დაიცვან დადგენილი წესი და უსიტყვოდ დაემორჩილონ არბიტრაჟის მითითებებს.
12. თავმჯდომარე აცხადებს არბიტრაჟის შემადგენლობას, აგრეთვე იმას, თუ ვინ მონაწილეობს ექსპერტად, სპეციალისტად, თარჯიმნად, არბიტრაჟის სხდომის მდივნად და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.
13. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა განცხადებები და შუამდგომლობები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის თუ გამოთხოვის, აგრეთვე, საქმის განხილვასთან დაკავშირებით წამოჭრილი სხვა საკითხების შესახებ, არბიტრაჟმა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში დააკმაყოფილოს, თუ ასეთი შუამდგომლობები და განცხადებები საპატიო მიზეზით არ იყო აღძრული საარბიტრაჟო განხილვის დღის დანიშვნამდე. ასეთ შემთხვევაში, მხარეთა თხოვნით ან არბიტრაჟის ინიციატივით საქმის განხილვა შეიძლება გადაიდოს.
14. საქმის არსებითად განხილვა იწყება საქმის შესახებ არბიტრის მოხსენებით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მხარეთა მიერ წარმოდგენილ მასალებს, ხოლო

თუ ამ საქმეზე ჩატარდა მოსამზადებელი სხდომა, მაშინ – ამ სხდომის მასალებსა და ოქმს.

15. არბიტრის მიერ საქმის მოხსენების შემდეგ იწყება მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენა.
16. პირველად არბიტრაჟი მოისმენს მოსარჩელისა და მის მხარეს მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი მოთხოვნა, რით ადასტურებს ამ გარემოებებს, კვლავ უჭერს თუ არა მხარს ამ მოთხოვნას და უარს ხომ არ ამბობს პრეტენზიაზე, ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.
17. შემდეგ არბიტრაჟი მოისმენს მოპასუხისა და მის მხარეს მონაწილე პირთა ახსნა-განმარტებებს, კერძოდ, როგორია მისი შესაგებელი, ხომ არ ცნობს პრეტენზიას, ან ხომ არ სურს საქმის მორიგებით დამთავრება და სხვა.
18. არბიტრაჟის ნებართვით თითოეულ მხარეს შეუძლია შეკითხვა მისცეს მოწინააღმდეგე მხარეს და მის წარმომადგენელს. თუ შეკითხვა უადგილო ან შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოების გამოკვლევასა და დადგენას, არბიტრაჟს, მხარის თხოვნით ან თავისი ინიციატივით, შეუძლია მოხსნას ასეთი შეკითხვა. შეკითხვის შეუსაბამოდ ან უადგილოდ მიჩნევა და მისი მოხსნა შეუძლია არბიტრაჟს.
19. არბიტრაჟის ნებისმიერ წევრს უფლება აქვს მხარეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა სრულად და ზუსტად განსაზღვრას, ამ გარემოებების დასადასტურებლად მტკიცებულებათა გამოვლენასა და არბიტრაჟში წარდგენას, მათი უტყუარობის გამორკვევას.
20. მხარეთა შეჯიბრებას ხელმძღვანელობს არბიტრაჟი. იგი ხსნის, წარმართავს და წყვეტს შეჯიბრებას, სიტყვას აძლევს ან სიტყვის უფლებას ართმევს ყველას, ვინც არ ემორჩილება მას, იღებს გადაწყვე-ტილებებს ზეპირი შეჯიბრების დროს წამოჭრილ საკითხებზე და აცხადებს ამ გადაწყვეტილებებს.
21. არბიტრაჟი იღებს დებულებით გათვალისწინებულ ზომებს, რათა: საქმე ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, ზედმეტად არ გაჭიანურდეს მხარეთა პაექრობა, არ გართულდეს და საქმის განხილვა დამთავრდეს რაც შეიძლება სწრაფად – ერთ საარბიტრაჟო სხდომაზე და, თუ შესაძლებელია, შესვენების გარეშე.
22. მხარეთა და სხვა პირთა ახსნა-განმარტების მოსმენის შემდეგ, არბიტრაჟი შეუდგება წარდგენილ მტკიცებულებათა შემოწმება-გამოკვლევას, რის შემდეგაც გამოაქვს გადაწყვეტილება ან ნიშნავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოცხადების დღეს, რითაც საარბიტრაჟო განხილვა მთავრდება.

მუხლი 34. გამოუცხადებლობა, შესაგებლისა და დოკუმენტების წარმოუდგენლობა

1 არბიტრაჟის სხდომაზე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ დააბრკოლებს საქმის განხილვას.

2 თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილ, საქმის განხილვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს, არბიტრაჟი უფლებამოსიალია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე.

3. თუ არბიტრაჟის მიერ დადგენილ ვადაში მხარე არასაპატიო მიზეზით არ წარმოადგენს შესაგებელს (პასუხს) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, არბიტრაჟი უფლებამოსიალია გადაწყვეტილება გამოიტანოს მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე მხარეთა დაუსწრებლად.

მუხლი 35. საქმის განხილვა წერილობითი მასალების საფუძველზე

1. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ საქმის განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა განხორციელდეს ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე. არბიტრაჟს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია დანიშნოს ზეპირი განხილვა თუ მიიჩნევს წარმოდგენილ მასალებს არასაკმარისად დავის არსებითად გადაწყვეტისათვის.
2. მოპასუხე მხარის მიერ პრეტენზიაზე წერილობითი შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, არბირტაჟი უფლებამოსილია გადაწყვეტილების გამოტანა განხორციელოს ზეპირი მოსმენის გარეშე, წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე.

მუხლი 36. მტკიცებულებათა წარდგენა არბიტრაჟში

1. მხარეები წარმოადგენენ მტკიცებულებებს იმ გარემოებათა დასადასტურებლად ან გასაქარწყლებლად, რომლებზედაც ამყარებენ საკუთარ მოთხოვნებსა თუ შესაგებელს.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოითხოვოს დამატებითი მტკიცებულები ან არ მიიღოს ის მტკიცებულებები, რომელთაც ჩათვლის საქმისათვის უმნიშვნელოდ.
3. არბიტრაჟს შეუძლია მიმართოს სასამართლოს იმ მტკიცებულებათა გამოთხოვის მიზნით, რომელთა წარმოდგენაც მხარეებმა უშუალოდ ვერ შეძლეს.
4. მტკიცებულებების არ წარმოდგენა ვერ შეუშლის ხელს არბიტრაჟს საქმის გაგრძელებასა და გადაწყვეტილების გამოტანაში, უკვე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.
5. არბიტრაჟი ყოველ მტკიცებულებას აფასებს შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება მათ ყოველმხრივ და ობიექტურ გამოკვლევას. ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოებების არსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას, შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩაითვალოს და საფუძვლად დაედოს გადაწყვეტილებას.
6. მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დადასტურებისას, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილად მიიჩნევა, ან დადგენილია სასამართლოს (არბიტრაჟის) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვრტილებით.
7. მტკიცებულების ტვირთი ეკისრება წარმომდგენ მხარეს. მას შეუძლია მოითხოვოს სადავო მტკიცებულების ამორიცხვა საქმიდან და დავის გადაწყვეტა დანარჩენი მტკიცებულებების საფუძველზე.

მუხლი 37. მოწმეები

1. სადაო გარემოებათა გარკვევის მიზნით, მხარეს შეუძლია მოითხოვოს მოწმის გამოძახება. არბიტრაჟი უფლებამოსილია, მოითხოვოს მხარეების ინფორმაცია

აღნიშნულთან დაკავშირებით, დადასტურებულ გარემოებათა, და სადაო საკითხებთან მოწმეთა დამოკიდებულების მითითებით.

2. მოწმეთა ჩვენება შეიძლება წარმოდგენილი იქნას წერილობით. არბიტრაჟი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით გადაწყვიტოს ასეთი მოწმის ზეპირ მოსმენაზე გამოძახება, გამოუცხადებლობის შემთხვევაში, არბიტრაჟი თავისი შეხედულებით წყვეტს წერილობითი ჩვენების მტკიცებულებად მიღების ან მოწმის სასამართლოს საშუალებით წარმოდგენის საკითხს.
3. მოწმე, რომელიც სხდომაზე იძლევა ზეპირ განმარტებას შეიძლება დაკითხული იქნას ნებისმიერი მხარის მიერ. არბიტრაჟი უფლებამოსილია, ჩაერთოს გამოკითხვაში, დასვას კითხვები ან შეწყვიტოს ჩვენების მიღება თუ იგი სცილდება განსახილველ საკითხს.

მუხლი 38. ექსპერტები

1. დავის განხილვის პერიოდში, სპეციალურ ცოდნასთან დაკავშირებული საკითხების განმარტებისას, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დანიშნოს ეხსპერტი. საკითხებს რომელზედაც საჭიროა ეხსპერტის დასკვნა განსაზღვრავს არბიტრაჟი მხარეთა მოსაზრებების გათვალისწინებით.
2. არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარეებს მოსთხოვოს ექსპერტიზისათვის წარმოადგინონ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ქონება და სხვა მასალები, რომლებიც მათ განკარგულებაშია.
3. მხარის შუამდგომლობით, ან თუ ამას არბიტრაჟი საჭიროდ ჩათვლის ექსპერტი შეიძლება მოწვეული იქნას ზეპირ განხილვაზე, დასკვნის განმარტებისათვის.
4. თუ მხარე არასაპატიო მიზეზით თავს არიდებს ექსპერტიზაში მონაწილეობას ან ხელს უშლის მას, არბიტრაჟი უფლებამოსილია დადგენილად ან გაქარწყლებულად ჩათვალოს ის ფაქტი, რომლის გამორკვევისათვისაც ექსპერტიზა იქნება დანიშნული.

მუხლი 39. ექსპერტიზის დანიშვნა

1. თუ დავის განხილვასთან დაკავშირებით არსებობს ან წამოიჭრა ისეთი საკითხი, რომლის განმარტებაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს, არბიტრაჟი უფლებამოსილია მხარის მოთხოვნით დანიშნოს ექსპერტიზა. ექსპერტიზის დანიშვნა სავალდებულოა, თუ ამას ორივე მხარე მოითხოვს.
2. უარი ექსპერტიზის დანიშვნაზე უნდა დასაბუთდეს.
3. ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ არბიტრაჟს გამოაქვს დადგენილება, რომელშიც უნდა აღინიშნოს, თუ რა საკითხებზეა საჭირო ექსპერტის დასკვნა, ვინ დაინიშნა ექსპერტად და რა მასალები წარედგინა ექსპერტს გამოსაკვლევად. აუცილებლობის ან მხარეების მოთხოვნის შემთხვევაში, ექსპერტიზის ჩასატარებლად არბიტრაჟი ნიშნავს რამდენიმე ექსპერტს.
4. აგრეთვე, მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ კითხვები, რომლებიც უნდა განმარტოს ექსპერტმა. საბოლოოდ იმ საკითხთა წრეს, რომლისთვისაც საჭიროა ექსპერტის დასკვნა, განსაზღვრავს არბიტრაჟი.
5. ექსპერტიზის ჩატარებისათვის საჭირო მასალებს არბიტრაჟს წარუდგენენ მხარეები. ექსპერტიზის ჩასატრებლად საჭირო მასალების წრეს განსაზღვრავს არბიტრაჟი.
6. მხარეებსა და მათ წარმომადგენლებს შეუძლიათ გაეცნონ ექსპერტის დასკვნას. მათივე თხოვნით, ექსპერტის დასკვნა გამოქვეყნდება არბიტრაჟის სხდომაზე. დასკვნის განმარტებისა და შევსების მიზნით ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები.
7. ექსპერტს პირველად კითხვებს უსვამს ის პირი, რომლის თხოვნითაც დაინიშნა ექსპერტიზა. არბიტრაჟს შეუძლია ნებისმიერ მომენტში დაუსვას შეკითხვები ექსპერტს.
8. თუ ექსპერტის დასკვნა არ არის სრული ან გაურკვეველია, არბიტრაჟს შეუძლია დანიშნოს დამატებითი ექსპერტიზა.
9. ექსპერტებს არბიტრაჟის დავალებით შესრულებული სამუშაოსათვის მიეცემათ ჰონორარი.
10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ ხარჯებს გადაიხდის პირი, რომელმაც იშუამდგომლა არბიტრაჟის (მუდმივმოქმედი არბიტრაჟის) წინაშე ექსპერტის დანიშვნის შესახებ. საბოლოოდ ამ ხარჯების განაწილება მოხდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.

მუხლი 40. საქმის წარმოების გადადება და შეჩერება

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არბიტრაჟი მხარეთა შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით, განკარგულებით შეაჩერებს საქმის განხილვას. წარმოება განახლდება განხილვის გადადების გამომწვევ გარემოებათა აღმოფხვრის შემდგომ.

მუხლი 41. საარბიტრაჟო სხდომის ოქმი

1. თითოეული სხდომის, ცალკეული შესრულებული საპროცესო მოქმედების შესახებ დგება ოქმი.
2. მხარეებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ, ოქმში მათი მოსაზრებით მნიშვნელოვანი გარემოებების შეტანა.
3. ოქმს ხელს აწერენ არბიტრაჟის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.
4. ოქმის შედგენისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ტექნიკური საშუალებები, რომელთა ჩანაწერებიც დაერთვება წერილობით ოქმს.

კარი მეშვიდე
საარბიტრაჟო წარმოების დამთავრება

მუხლი 42. საბოლოო გადაწყვეტილება

1. საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოკვლევისა და წარმოდგენილ მტკიცებულებათა შეფა-სების შემდგომ, თუ მხარეებს დამატებით წარმოსადგენი აღარაფერი დარჩათ, საქმის განხილვა ცხადდება დამთავრებულად და არბიტრაჟი შეუდგება გადაწყვეტილების გამოტანას.
2. გადაწყვეტილება მიიღება დახურული თათბირით, არბიტრაჟის შემადგენლობის ხმათა უმრავ-ლესობით. თუ გადაწყვეტილების გამოტანა ხმათა უმრავლესობით შეუძლებელია, იგი მიიღება არბიტრაჟის თავმჯდო-მარის მიერ. არბიტრი რომელიც არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას უფლებამოსილია საკუთარი განსხვავებული აზრი ჩამოაყალიბოს წერილობით, რომელიც დაერთვება საქმეს.

3. ერთწევრიანი არბიტრაჟის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას გამოიტანს ერთპიროვნული არბიტრი.
4. გადაწყვეტილების გამოტანისას არბიტრაჟი განსაზღვრავს საქმისათვის მნიშვნელოვანი რომელი გარემო-ებებია დადგენილი და რომელი დაუდგენელი, რომელი კანონი ან იურიდიული ნორმა უნდა იქნას გამოყე-ნებული და რა მოცულობით უნდა დაკმაყოფილდეს პრეტენზია.
5. მხარეებს ეცნობება გამოტანილი გადაწყვეტილების დადგენილებითი ნაწილი.
6. არბიტრაჟს უფლება არა აქვს მიაკუთვნოს გადაწყვეტილებით მხარეს ის, რაც მას არ უთხოვია, ან იმაზე მეტი, ვიდრე ის მოითხოვდა, ან დააკისროს დავაში არმონაწილე პირს რაიმე ვალდებულება.
7. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილ უნდა იქნეს საარბიტრაჟო განხილვის დამთავრებიდან არა უგვიანეს ხუთი დღის ვადაში.

მუხლი 43. გადაწყვეტილების შინაარსი და ფორმა

1. გადაწყვეტილება ჩამოყალიბდება წერილობით და შედგება: აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზო-ლუციო ნაწილებისაგან.
2. აღწერილობით ნაწილში აღინიშნება გამოტანის დრო და ადგილი, მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელება, არბიტრაჟის შემადგენლობა და სხდომის მდივანი; საარბიტრაჟო შეთანხმება, მხარეები და დავის საგანი.
3. სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება არბიტრაჟის დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც არბიტრაჟი უარყოფს გარკვეულ მტკიცებულებას, კანონი და იურიდიული ნორმა, რომლებითაც იგი ხელმძღვანელობდა.
4. სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს არბიტრაჟის დასკვნას პრეტენზიის დაკმაყოფილების ან უარის თქმის შესახებ, მითითებას ხარჯების განაწილებაზე, გადაწყვეტილების აღსრულების ვადაზე და არბიტრთა ხელწერებს.
5. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების სრული ტექსტი მოწმდება სანოტარო წესით, თითო ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს, ერთი რჩება მუდმივმოქმედ არბიტრაჟში, ერთი პირი საქმესთან ერთად ეგზავნება სასამართლოს.

მუხლი 44. გადაწყვეტილების გამოტანა მხარის არასაპატიოდ დამოუცხადებლობისას

1. დებულებით დადგენილი წესით გაფრთხილებული მოპასუხის მიერ დადგენილ ვადაში შესაგებლის შემოუტანლობის შემდგომ, თუ ეს გამოწვეულია არასაპატიო მიზეზით, არბიტრაჟს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება ზეპირი მოსმენის გარეშე. არბიტრაჟი პრეტენზიაში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებს შეამოწმებს მხარეთა დაუსწრებლად. შესაბამისად თუ აღნიშნული გარემოებები იურიდიულად ამართლებს პრეტენდენტის მოთხოვნას იგი დაკმაყოფილდება, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟი უარს ეტყვის პრეტენდენტს პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე.
2. არგამოცხადებულ მხარეს გადაწყვეტილება ბარდება დებულების მოთხოვნათა დაცვით.

მუხლი 45. მხარეთა დაუსწრებლად გამოტანილი გადაწყვეტილება

1. მხარეს რომლის წინააღმდეგ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, შეუძლია მისი ჩაბარებიდან ხუთი დღის ვადაში შეიტანოს არბიტრაჟში საჩივარი, გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განახლების მოთხოვნით.
2. საჩივარი არბიტრაჟს წარედგინება წერილობით და უნდა შეიცავდეს:
ა) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;
ბ) მხარეთა რეკვიზიტებს;
გ) გარემოებებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით.
დ) მხარის მოთხოვნას რა ფარგლებში შეიცვალოს გადაწყვეტილება.
3. თუ არ არსებობს მხარის დაუსწრებლად მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, არბიტრაჟს გამოაქვს განკარგულება გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები.

მუხლი 46. არბიტრაჟის მოქმედება საჩივრის მიღების შემდეგ. ახალი გადაწყვეტილება

1. არბიტრაჟი საჩივრის დაკმაყოფილების საკითხს წყვეტს მხარეთა შეტყობინებით, სხდომაზე, მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს განხილვას.
2. თუ სხდომაზე საჩივრის განხილვისას აღმოჩნდება, რომ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძვლები, კერძოდ მხარის გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით, რომლის შესახებაც მას არ შეეძ-ლო დროულად ეცნობებინა არბიტრაჟისათვის, იგი უნდა დაკმაყოფილდეს, ასეთ შემთხვევაში არბიტრაჟი აუქმებს მას და აგრძელებს სხდომას.
3. თუ არ არსებობს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, არბიტრაჟს გამოაქვს განკარ-გულება დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება გადაწყვე-ტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები.

მუხლი 47. გადაწყვეტილების განმარტება, შესწორება. დამატებითი გადაწყვეტილება

1. არბიტრაჟს უფლება აქვს მხარეთა შუამდგომლობით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად, გადაწყვეტილების მხარეზე ჩაბარებიდან ოცდაათი დღის ვადაში.
2. არბიტრაჟს შეუძლია მხარის მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს მის გადაწყვეტილებაში დაშვებული არითმეტიკული უზუსტობანი და აშკარა შეცდომები.
3. არბიტრაჟი უფლებამოსილია, დადგენილებითი ნაწილის დაზუსტების მიზნით, მხარეთა შუამდგომლობით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე.
4. გადაწყვეტილების განმარტების, შესწორების ან დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანა ხდება სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს გადაწყვეტილების მიღებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. გადაწყვეტილების განმარტება, შესწორება ან დამატებითი გადაწყვეტილება წარმოადგენს გამოტანილი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების შემადგენელ ნაწილს.

მუხლი 48. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

1. საარბიტრაჟო გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია "არბიტრაჟის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ცნობის შემდეგ.. კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დასაშვებია მისი იძულებითი აღსრულება, სააღსრულებო ფურცელს გასცემს კომპეტენტური სასამართლო.
2. იძულებითი აღსრულება საქართველოს ტერიტორიაზე რეგულირდება „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო მის ფარგლებს გარეთ „უცხოეთის საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების" შესახებ ბაერო-ს 1958 წ. 10 ივნისის კონვენციის შესაბამისად.
3. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა მხარეებსა და მათ უფლაბამონაცვლეებს, არ შეუძლიათ მიმართონ საერთო სასამართლოებსა და არბიტრაჟს იგივე მოთხოვნებით იმავე საფუძვლებზე, სადაო გახადონ საქმის წარმოებისას დადგენილი ფაქტები და სამართებლივი ურთიერთობანი.

მუხლი 49. საქმის წარმოების შეწყვეტა გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე

1. არბიტრაჟი მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით შეწყვიტავს საქმის წარმოებას თუ:
   1.1) არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება, გამოტანილი დავაზე იმავე მხარეებს შორის იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით;
   1.2) პრეტენდენტმა უარი თქვა პრეტენზიზე;
   1.3) თუ მხარეები შეთანხმდნენ საქმის განხილვის შეწყვეტის შესახებ.
2. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში არბიტრაჟისათვის და საერთო სასამართლოსათვის განმეორებით მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით დაუშვებელია.

მუხლი 50. არბიტრაჟის დამატებითი უფლებამოსილებანი

1. მხარეთა მოსაზრების გათვალისწინებით ან საკუთარი ინიციატივით არბიტრაჟი უფლებამოსილია:

1.1) განსაზღვროს კოლიზიური სამართლის რომელი ნორმებით შეიძლება დარეგულირდეს დავასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი, დოკუმენტი ან კონტრაქტი;

1.2) შეიტანოს შესწორება ნებისმიერ ასეთ დოკუმენტში ან საარბიტრაჟო შეთანხმებაში, მხოლოდ გამოვლენილი და მხარეთათვის თანაბრად მნიშვნელოვანი შეცდომების ფარგლებში;

1.3) ჩაატაროს ნებისმიერი მოკვლევა მხარეთა შუამდგომლობით საქმის ინტერესებიდან გამომდინარე;

1.4) დებულებით დადგენილი ფორმით გამოიყენოს შუალედური გადაწყვეტილებები დავის პროცესში წამოჭრილ ნებისმიერ საკითხზე ან მხარის მიერ პრეტენზიის ნაწილობრივი აღიარების შემთხვევაში.

კარი მერვე
გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოება

მუხლი 51. დასაშვებობა

1. მხარეთა შეთანხმებით, გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოებით განიხილება და გადაწყდება მოთხოვ-ნები ფულადი თანხის გადახდევინების შესახებ, ეს წესი არ დაიშვება თუ:
   1.1) მოთხოვნა დამოკიდებულია ჯერ კიდევ შეუსრულებელ საპასუხო ვალდებულებაზე;
   1.2) მოთხოვნა წამოყენებულია ერთზე მეტი მოპასუხის მიმართ.

მუხლი 52. განცხადება დავალიანების გადახდევინების შესახებ

1. გამარტივებული საარბიტრაჟო წარმოების საფუძველია დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადება, რომელიც წარედგინება არბიტრაჟს, გადახდის ბრძანების მისაღებად.
2. განცხადება უნდა შეიცავდეს:
   2.1) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;
   2.2) მხარეების (პრედენდენტი, მოვალე) დასახელებასა და რეკვიზიტებს;
   2.3) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;
   2.4) მონაცემებს ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ:
   2.5) პრეტენზიის ფაქტობრივ დასაბუთებას;
   2.6) მითითებას, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე ან რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;
   2.7) პრეტენდენტის (განმცხადებლის) ხელმოწერას.
3. განცხადებას უნდა ახლდეს მოსაკრებლის გადახდის ქვითარი და ნუსხაში მითითებული დოკუმენტები.

მუხლი 53. გადახდის ბრძანება

1. არბიტრაჟი გამოსცემს გადახდის ბრძანებას განცხადების წარმოებაში მიღებიდან არა უგვიანეს სამი დღისა.
2. გადახდის ბრძანება შეიცავს:
   1.1) მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დასახელებას;
   1.2) ბრძანების მიღების დროს და ადგილს;
   1.3) მხარეების (პრედენტენტი, მოვალე) დასახელებასა და რეკვიზიტებს;
   1.4) მითითებას საარბიტრაჟო შეთანხმებაზე;
   1.5) მონაცემებს ვალდებულებისა და მოთხოვნების შესახებ;
   1.6) წამოყენებული პრეტენზიის ფაქტობრივ დასაბუთებას, მტკიცებულებების მითითებით;

1.7) მითითებას, რომ აღძრული მოთხოვნა არ არის დამოკიდებული განმცხადებლის მხრიდა რაიმე სანაცვლო ვალდებულების შესრულებაზე, ან რომ ასეთი შესრულება უკვე განხორციელდა;

1.8) მითითებას, რომ არბიტრაჟს არ შეუმოწმებია აქვს თუა არა გაქარწყლებული განმცხადებელს მოთხოვნის უფლება;

1.9) მითითებას რომ არბიტრაჟის მიერ გადახდის ბრძანების მიღებიდან ათი დღის განმავლობაში დაიფაროს ვალი ხარჯებთან ერთად, თუკი მოვალე პრეტენზიას მართებულად მიიჩნევს, ან შეიტანოს არბიტრაჟში წერილობითი მოტივირებული პროტესტი თუ მას მოთხოვნა დაუსაბუთებლად მიაჩნია;

1.10) მითითებას, რომ გადახდის ბრძანების იძულებითი აღსრულებისათვის გადაეცემა სასამართლოს სააღსრულებო დადგენილებისა და სააღსრულებო ფურცლის გამოსაცემად, თუ მოვალე არ წარმოადგენს თავის პროტესტს დებულების მოთხოვნათა დაცვით.

3. გადახდის ბრძანება მოვალეს გადაეცემა დავალიანების გადახდევინების შესახებ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;

მუხლი 54. მოვალის პროტესტი

1. მოვალეს შეუძლია არბიტრაჟში შეიტანოს გადახდის ბრძანების წინააღმდეგ მოტივირებული პროტესტი ჩაბარებიდან ათი დღის ვადაში. ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს თუ ამას არბიტრაჟი საპატიოდ მიიჩნევს.
2. პროტესტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
   2.1) მითითება გარემოებებზე, რომლებზედაც ემყარება მოვალე განცხადებისა და გადახდის ბრძანების წინააღმდეგ.
   2.2) მტკიცებულებები, რომლითაც დასტურდება ეს გარემოებები;
   2.3) დამოკიდებულია თუ არა აღძრული მოთხოვნა პრეტენდენტის მხრიდან რაიმე სანაცვლო ვალდებულებების შესრულებაზე;
   2.4) არსებობს თუ არა გარემოებები რომელთა გამო გაქარწყლებულია უფლება მოთხოვნაზე.
3. პროტესტს უნდა ახლდეს მოსაკრებლის გადახდის ქვითარი და ნუსხაში მითითებული დოკუმენტები.
4. თუ პროტესტი წარმოდგენილი იქნება დებულების მოთხოვნათა დაცვით, გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განიხილება და გადაწყდება საარბიტრაჟო წარმოების საერთო წესით.

მუხლი 55. სააღსრულებო დადგენილება

1. თუ მოვალე გადახდის ბრძანების წინააღმდეგ ვერ შეიტანს პროტესტს არბიტრაჟში დებულების მოთხოვნათა დაცვით ან ვადაში არ შეავსებს ხარვეზს, არბიტრაჟი დაგახდის ბრძანებას მხარის მოთხოვნითა და ხარჯით გაუგზავნის სასამართლოს სააღსრულებო დადგენილებასა და საარსრულებო ფურცლის გასაცემად.
2. სააღსრულებო გადაწყვეტილების ცნობა და არსრულება ხორციელდება საქართველოს კანონი "არბიტრაჟის შესახებ" დადგენილი წესით კომპეტენტური სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

მუხლი 56. დასკვნითი დებულებები

1. არც მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, არც ცალკეული არბიტრი არ არიან პასუხისმგებელნი რომელიმე მხარის წინაშე, საქმისწარმოებასთან დაკავშირებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ხორციელდება მოცემული დებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ასეთი ქმედება შედეგია მიზანმიმართული დარღვევებისა.
2. საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ თუ მისი განმარტების, შესწორების, დამატებითი გადაწყვეტილებების ვადა ამოწურულია, არბიტრაჟი, არ არის ვალდებული გააკეთოს რაიმე კომენტარი, საარბიტრაჟო წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
3. ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არ არის განსაზღვრული წარმოდგენილი დებულებით, მუდმივმოქმედი არბიტრაჟი და არბიტრები ყველა გონივრული საშუალებით, უზრუნველყოფენ რომ საქმე გადაწყდეს არსებითად და გადაწყვეტილება იყო იურიდიულად შესრულებადი.

წესები

„საარბიტრაჟო ხარჯების და მოსაკრებლების შესახებ"

მუხლი 1. ცნებათა განსაზღვრა

1. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი" – მოსაკრებელი, რომელსაც იხდის პრედენდენტი არბიტრაჟში პრეტენზიის ან უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარდგენისას, საქმის განხილვის დაწყებამდე.
2. „საარბიტრაჟო მოსაკრებელი"– გათვალისწინებული არბიტრაჟის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად (ჰონორარები, აპარატის ხელფასი, ორგანიზაციული ხარჯები და სხვა). გადაიხდევინება არბიტრაჟში განსახილველად შეტანილ ყოველ პრეტენზიაზე.
3. „არბიტრაჟის დამატებითი ხარჯი" – განსაკუთრებული ხარჯი, რომელიც გაიღება კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით (ექსპერტიზის ჩატარება, ექსპერტთა და თარჯიმანთა ჰონორარები, მოწმეთა წარმოდგენისა და სამივლინებო ხარჯები).
4. „მხარეთა ხარჯი" – ხარჯები, რომელიც გაიღებულია მხარეთა მიერ, საკუთარი ინტერესების დასაცავად არბიტრაჟში საქმის განხილვის დროს გარდა ამ მუხლის 1. 2. 3. პუნქტებით გათვალისწინებული ხარჯებისა.

მუხლი 2. სარეგისტრაციო მოსაკრებელი

1. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი" შეადგენს 400 (ოთხას) ლარს.
2. საარბიტრაჟო მოსაკრებლის გადახდისას „სარეგისტრაციო მოსაკრებელი" ჩაითვლება საარბიტრაჟო მოსაკრებელში.
3. „სარეგისტრაციო მოსაკრებელი" დაბრუნებას არ ექვემდებარება.

მუხლი 3. საარბიტრაჟო მოსაკრებელი

1. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის" გადახდა წარმოებს:
   1) საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;
   2) შეგებებულ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე;

3) გამარტივებული წესით გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებაზე.
4) მოვალის პროტესტზე გადახდის ბრძანების წინააღმდეგ.

2. საარბიტრაჟო მოსაკრებელი შეიტანება ავანსად არბიტრაჟის ანგარიშზე ჩარიცხვის გზით და სრულად უნდა იქნას დაფარული საქმის მომზადების დამთავრებამდე.
3. საარბიტრაჟო მოსაკრებელი განისაზღვრება და გადაიხდება ლარებში წარმოდგენილი ცხრილის შესაბამისად, თუ პრეტენზიის ფასი მითითებულია უცხოურ ვალუტაში მოსაკრებლის გაანგარიშება ხდება ლარებში დადგენილი ოფიციალური კურსით.
4. პრეტენდენტის სურვილისამებრ „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ შეიძლება გადახდილი იქნას ნებისმიერ კონვერტირებად ვალუტაში არბიტრაჟთან შეთანხმებით, თუ ეს შეთანხმება არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

მუხლი 4. საარბიტრაჟო მოსაკრებლის შემცირება

1. მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარეს, ცალკეულ შემთხვევებში, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს ან ვადებად დაუყოს არბიტრაჟის ხარჯების გადახდა, ან/და შეამციროს მათი ოდენობა..
2. თუ პრეტენდენტმა საქმის განხილვის დღემდე გაითხოვა პრეტენზია (შეწყვიტა საქმის წარმოება, დავის მოლაპარაკებით დარეგულირების მოტივით) „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ (გარდა „სარეგისტრაციო მოსაკრებლისა“ და უკვე გაწეული დამატებითი ხარჯებისა) მცირდება 55 %-ით.
3. თუ საქმის წარმოება პრეტენდენტმა შეწყვიტა პირველივე სხდომაზე გადაწყვეტილების გამოტანის გარეშე, „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ (გარდა „სარეგისტრაციო მოსაკრებლისა“) მცირდება 35 %-ით.
4. წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი საარბიტრაჟო მოსაკრებელი უბრუნდება მის შემომტანს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, შემომტანის მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
5. თუ საარბიტრაჟო პრეტენზიაზე უარის თქმა, საარბიტრაჟო პრეტენზიის ცნობა ან მხარეთა მორიგება სადავო საგნის მხოლოდ ნაწილს შეეხება, მაშინ წინამდებარე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირობა გავრცელდება ამ ნაწილის შესაბამისად გადახდილ საარბიტრაჟო მოსაკრებელზე
6. გადაწყვეტილება „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ შემცირების შესახებ აისახება საბოლოო გადაწყვეტილებაში ან განკარგულებაში საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ. თუ საქმის წარმოება წყდება არბიტრაჟის ფორმირებამდე, აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარე.
7. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ შემცირებასთან დაკავშირებული წესები არ ვრცელდება „სარეგისტრაციო მოსაკრებელზე“.
8. მხარის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, არბიტრაჟს განკარგულებით შეუძლია გადაუვადოს ან გაუნაწილოს „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ გადახდა. ერთი მხარის მიმართ დადგენილი შეღავათები, მეორე მხარის გადახდის ვალდებულებაზე გავლენას არ ახდენს.

მუხლი 5. „საარბიტრაჟო მოსაკრებლის“ განაწილება მხარეთა შორის.

1. თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ ეკისრება მხარეს, რომლის წინააღმდეგაც გამოტანილი იქნა გადაწყვეტილება.
2. პრეტენზიის ნაწილობრივი დაკმაყოფილების შემთხვევაში „საარბიტრაჟო მოსაკრებელი“ მოპასუხეს ეკისრება პრეტენზიის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად, ხოლო პრეტენდენტს იმ ნაწილის პროპორციულად, რომელშიც უარი ეთქვა.
3. იმ მხარის მიერ გაღებული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების გადახდას, რომლის სასარგებლოდაც გადაწყვეტილება იქნა მიღებული, არბიტრაჟი აკისრებს მეორე მხარეს (თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმებულან). თუ საარბიტრაჟო პრეტენზია დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება პრეტენზიის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც არბიტრაჟის გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფლებული, ხოლო მოპასუხეს – საარბიტრაჟო პრეტენზიის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.
4. თუ მოსარჩელემ უარი თქვა საარბიტრაჟო პრეტენზიაზე, მის მიერ გაწეულ ხარჯებს მოპასუხე არ აანაზღაურებს. მაგრამ თუ მოსარჩელემ მხარი არ დაუჭირა თავის მოთხოვნას იმის გამო, რომ მოპასუხემ ნებაყოფლობით დააკმაყოფილა იგი საარბიტრაჟო პრეტენზიის აღძვრის შემდეგ, მაშინ მოსარჩელის მიერ გაწეული საარბიტრაჟო განხილვის ხარჯების ანაზღაურებას (მოსარჩელის თხოვნით) არბიტრაჟი დააკისრებს მოპასუხეს.

მუხლი 6. არბიტრაჟის დამატებითი ხარჯის გადახდა.

1. ცალკეული საპროცესო მოქმედების ჩასატარებლად საჭირო ხარჯებს (დამატებით ხარჯს) გაიღებს დაინტერესებული მხარე, ამ მიზნით არბიტრაჟი არ არის ვალდებული თავად გაწიოს რაიმე ხარჯი.
2. დამატებითი ხარჯის საავანსო თანხას განსაზღვრავს არბიტრაჟი და იგი შეიტანა მუდმივმოქმედი არბიტრაჟის ანგარიშზე.
3. დადგენილი თანხის არ გადახდას არბიტრაჟი მიიჩნევს მხარის მიერ შესაბამისი საპროცესო უფლებით (მოქმედებით) სარგებლობაზე – უარის თქმად.
4. ხარჯების საბოლოო განაწილება მხარეთა შორის განხორციელდება არბიტრაჟის მიერ საქმის არსებითად გადაწყვეტისას.
5. არბიტრაჟს (არბიტრს), რომელიც აწარმოებს ადგილზე დათვალიერებას, აუნაზღაურდება მგზავრობასთან, ბინის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები.

მუხლი 7. საარბიტრაჟო ხარჯისა და მოსაკრებლების გადახდის წესი

საარბიტრაჟო ხარჯი და მოსაკრებლები გადახდილად ჩაითვლება თანხის საარბიტრაჟო პალატის ანგარიშზე ჩარიცხვის დღიდან.

დანართი №1

პრეტენზიის ფასი საარბიტრაჟო მოსაკრებელი* ლარში

№	დავის საგნის ღირებულება	მოსაკრებელი
1	6’000 ლარის ჩათვლით	თანხის 5%, არანაკლებ სარეგისტრაციო მოსაკრებლისა
2	6’001 ლარიდან – 20’000 ლარიმდე	თანხის 4,5 % + 200 ლარი
3	20’001 ლარიდან 50’000 ლარიმდე	1’000 ლარს + 20’000-ზე ზემოთ 4 %
4	50’001 ლარიდან 100’000 ლარამდე	2'000 ლარს + 50’000-ზე ზემოთ 3,7 %
5	100’001 ლარიდან 200’000 ლარამდე	3'000 ლარს + 100’000-ზე ზემოთ 3 %
6	200’001 ლარიდან 500’000 ლარამდე	6'000 ლარს + 200’000-ზე ზემოთ 2 %
7	500’501 ლარიდან 1’000’000 ლარამდე	11'000 ლარს + 500’000-ზე ზემოთ 1,4 %
8	1’000’001 ლარიდან 2’000’000 ლარამდე	14’750 ლარს + 1’000’000-ზე ზემოთ 0,88 %
9	2’000’001 ლარიდან 5’000’000 ლარამდე	22’500 ლარს + 2’000’000-ზე ზემოთ 0,42 %
10	5’000’001 ლარიდან 10’000’000 ლარამდე	28’250 ლარს + 5’000’000-ზე ზემოთ 0,32 %
11	10’000’001 ლარიდან 30’000’000 ლარამდე	44'750 ლარს + 10’000’000-ზე ზემოთ 0,11 %
12	30’000’001 ლარიდან 50’000’000 ლარამდე	61'400 ლარს + 30’000’000-ზე ზემოთ 0,07 %
13	50’000’001 ლარიდან 80’000’000 ლარამდე	74'550 ლარს + 50’000’000-ზე ზემოთ 0,015 %
14	50’000’001 ლარიდან 100’000’000 ლარამდე	81'000 ლარს + 50’000’000-ზე ზემოთ 0,01 %
15	100’000’000 ლარს ზემოთ	88’000 ლარი

(*) განსახილველი საქმის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე საარბიტრაჟო მოსაკრებელი შეიძლება კორექტირებულ (შემცირებულ ან გაზრდილ) იქნას ფინანსურ ინსტიტუტებთან კორპორატიული შეთანხმების ფარგლებში.

დანართი №2

არბიტრთა ჰონორარი**

№	პრეტენზიის ფასი	ჰონორარი
1	6’000 ლარის ჩათვლით	სადაო თანხის 18 %
2	6’001 ლარიდან – 20’000 ლარამდე	სადაო თანხის 12 % + 40 ლარი
3	20’001 ლარიდან 50’000 ლარამდე	თანხის 10% + 75 ლარი
4	50’001 ლარიდან 100’000 ლარამდე	575 ლარს + 50’000-ზე ზემოთ 0,50 %
5	100’001 ლარიდან 200’000 ლარამდე	832 ლარს + 100’000-ზე ზემოთ 0,32 %
6	200’001 ლარიდან 500’000 ლარამდე	1'130 ლარს + 200’000-ზე ზემოთ 0,25 %
7	500’501 ლარიდან 1’000’000 ლარამდე	1'840 ლარს + 500’000-ზე ზემოთ 0,11 %
8	1’000’001 ლარიდან 2’000’000 ლარამდე	2’580 ლარს + 1’000’000-ზე ზემოთ 0,075 %
9	2’000’001 ლარიდან 5’000’000 ლარამდე	3’645 ლარს + 2’000’000-ზე ზემოთ 0,044 %
10	5’000’001 ლარიდან 10’000’000 ლარამდე	5’000 ლარს + 5’000’000-ზე ზემოთ 0,021 %
11	10’000’001 ლარიდან 30’000’000 ლარამდე	6'750 ლარს + 10’000’000-ზე ზემოთ 0,007 %
12	30’000’001 ლარიდან 50’000’000 ლარამდე	9'000 ლარს + 30’000’000-ზე ზემოთ 0,004 %
13	50’000’001 ლარიდან 80’000’000 ლარამდე	11'830 ლარს + 50’000’000-ზე ზემოთ 0,002 %
14	80’000’001 ლარიდან 100’000’000 ლარამდე	17'700 ლარს + 80’000’000-ზე ზემოთ 0,001 %
15	100’000’000 ლარის ზემოთ	21'540 ლარს + 50’000’000-ზე ზემოთ 0,001 %

(**) განსახილველი საქმის სირთულიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე არბიტრთა ჰონორარი შეიძლება კორექტირებულ (შემცირებულ ან გაზრდილ) იქნას ჰონორარის შესახებ არბიტრთან გაფორმებული ინდივიდუალური ხელშეკრულების ფარგლებში.